

ძვირფასო მომხმარებელო, ამანათის გაგზავნამდე გთხოვთ ქვემოთ გაეცნოთ ჩვენი მომსახურების პირობებს

ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის ხელშეკრულება

15 ნოემბერი, 2017 წ.

შპს “KIWI POST”, შემდგომში ექსპედიტორი კომპანია, ვებ-გვერდი: www.kiwipost.ge ელ.ფოსტა: info@kiwipost.ge ტელ: +995 32 205 23 24; მისამართი: ქ. თბილისი, ცაგარელის ქ. 60;

და მომხმარებელი: ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს KIWI POST-ის გადაზიდვის სერვისით და მინიჭებული აქვს მომხმარებლის პერსონალური ოთახის ნომერი, რომელიც დაფიქსირებული იქნება საერთო კომერციულ ინვოისში, და KIWI POST-ის მონაცემთა ბაზაში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ექსპედიტორის სანცობებიდან, რომლებიც მდებარეობს ქ. ლონდონში (გაერთიანებული სამეფო) და ქ. თბილისში (საქართველო), მომხმარებლის მიერ ჩაბარებული და ექსპედიტორის მიერ მიღებული ტვირთის ქ. თბილისში ან/და ქ. ლონდონში საექსპედიციო გადაზიდვის მომსახურების განევა, რომელსაც ექსპედიტორი უზრუნველყოფს თავისი სახელით და შემკვეთის ხარჯზე.

ქ. ლონდონში არსებული KIWI POST-ის მისამართი:

19 New College Parade
Finchley Road
London, NW3 5EP
TEL: +442074490312
Info@kiwipost.co.uk

ქ. თბილისში არსებული KIWI POST-ის მისამართი:

ცაგარელის ქ. #60
თბილისი, საქართველო
საფოსტო ინდექსი - 0194
ტელ: +995 32 205 23 24;
info@kiwipost.ge

1.2. კომპანია KIWI POST-ში მომხმარებლის რეგისტრაცია უფასო და ნებაყოფლობითია. რეგისტრაცია ხორციელდება ვებ-გვერდზე www.kiwipost.ge ხოლო მომსახურების პირობები საჯაროა. კომპანია KIWI POST-ის მომსახურებით სარგებლობა ნიშნავს, რომ მომხმარებელი გაეცნო და დაეთანხმა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

2. ტრანსპორტირების ღირებულება და გადახდა

2.1. ტრანსპორტირების ღირებულება გამოითვლება ამანათების რეალური ჯამური წონიდან. ტრანსპორტირების ღირებულება მითითებულია ფასთა ნუსხაში, რომელიც განთავსებულია KIWI POST-ის ვებ-გვერდზე (www.kiwipost.ge); პერსონალური ამანათების ტრანსპორტირების ღირებულება გამოითვლება მინიმუმ 1 (ერთი)

კილოგრამიდან, ხოლო ონლაინ შესყიდვებისას მინიმუმ 200 (ორასი) გრამის ღირებულებიდან. საქართველოში KIWI POST-ის მომსახურებისათვის გადასახდელი ტრანსპორტირების ღირებულება გამოითვლება გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გირვანქა სტერლინგის ოფიციალური შესყიდვის კურსით ლარებში.

2.2. ტრანსპორტირების მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება კომპანიის ვებ-გვერდიდან საკრედიტო ბარათების და საბანკო გადარიცხვის გამოყენებით. მომხმარებელს ტრანსპორტირების ღირებულების გადახდა შეუძლია აგრეთვე ე.წ. “ფეი-ბოქსებით” და KIWI POST-ის ოფისში ნაღდი ანგარიშსწორების გზით.

2.3. წონის დამრგვალება ხდება 100 გრამის სიზუსტით.

2.4. პერსონალურ ამანათებზე ტრანსპორტირების ღირებულების გადახდა ხორციელდება ტვირთის გამგზავნის მიერ ტვირთის KIWI POST-ის ოფისში მიტანისას ან ტვირთის მიმღების მიერ ტვირთის KIWI POST-ის ოფისიდან გატანისას. თუ ამანათის ტრანსპორტირების ღირებულება გამგზავნის მიერ წინასწარ არ არის გადახდილი, ამანათის მიმღების მიერ ტრანსპორტირების ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, ტვირთი ამანათის მიმღებზე არ გაიყვამა. ტვირთის მიმღები ვალდებულია ტვირთის შესაბამის ოფისში ჩასვლიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში გაიტანოს KIWI POST-ის ოფისიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში გაგზავნილი/მიღებული ტვირთი ექვემდებარება განადგურებას და ტვირთის ღირებულება ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ტვირთის მიმღების მიერ ტვირთის შესაბამის ოფისში ჩასვლიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში გაუტანლობის შემთხვევაში, ტვირთის გამგზავნი ვალდებულია ექვემდებარებოდეს კომპანიის გადაუხადოს ჯარიმა ამანათის ტრანსპორტირების ღირებულების სრული ოდენობით.

2.5. ონლაინ-ამანათების ტრანსპორტირებისას, მომხმარებელი ვალდებულია ტვირთის შესაბამის ოფისში მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში გადაიხადოს ტრანსპორტირების ღირებულება და გაიტანოს ამანათი KIWI POST-ის ოფისიდან. ამანათის მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ტრანსპორტირების ღირებულების გადაუხდელობის ან/და გაუტანლობის შემთხვევაში, ამანათი ექვემდებარება განადგურებას და მისი ღირებულება მომხმარებელს არ აუნაზღაურდება.

3. მომხმარებელი ვალდებულია:

3.1. სრულად მიაწოდოს ექსპედიტორის ინფორმაცია გასაგზავნი ტვირთის შესახებ (ტვირთის კატეგორია), ასევე ტვირთის შესაბამის ოფისში ჩაბარებისას მიუთითოს დეტალური ინფორმაცია ტვირთის მიმღების შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი), აგრეთვე მისცეს მითითებები, რომლებიც აუცილებელია გადაზიდვის დოკუმენტების გასაფორმებლად, მიაწოდოს აუცილებელი ცნობები საბაჟო და სხვა მოქმედებათა შესასრულებლად.

3.2. ონლაინ შესყიდვებისას, მომხმარებელი ვალდებულია KIWI POST-ის ვებ გვერდზე მიუთითოს ამანათის ტრანსპორტირების ნომერი (ე.წ. თრექინგ კოდი).

3.3. საფრთხის შემცველი ტვირთის არსებობისას შემკვეთმა უნდა გააფრთხილოს ექსპედიტორი საფრთხის ზუსტი სახეობის შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში, მიუთითოს მას უსაფრთხოების ზომებზე.

3.4. ტვირთი, რომლის საფრთხემომცველობის შესახებ არ იცოდა ექსპედიტორმა, შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას გადმოიტვირთოს, განადგურდეს ან გაუვნებელდეს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაუკისრებლად.

3.5. შემკვეთი ვალდებულია, თუ ამას მოითხოვს ტვირთის სახეობა, შეფუთოს იგი გადაზიდვის მოთხოვნების შესაბამისად.

3.6. ელექტრო ტექნიკის და მტვრევადი ამანათების ტრანსპორტირებისას, KIWI POST არ იღებს პასუხისმგებლობას ამანათის დაცულობაზე. ამგვარი ტვირთის შემთხვევაში, გამგზავნი თავად ფუთავს ამანათს და პასუხისმგებლობასაც თავად იღებს მის დაცულობაზე.

3.7. კომპანია KIWI POST არც ონლაინ შექენილ და არც პერსონალურად გასაგზავნ ამანათს არ ხსნის, არ ახორციელებს მის გადაფუთვას და ამანათებს აგზავნის იმ სახით, რა სახითაც ისინი მიღებულ იქნა KIWI POST-ის შესაბამის ოფისებში.

3.8. შემკვეთის მიერ მითითებული/დასახელებული ტვირთის მიმღები ვალდებულია ამანათის შესაბამის ოფისში მიღებისას გადაამოწმოს ამანათის შიგთავსი. ოფისიდან გასვლის შემდეგ პროდუქციის დაზიანების შესახებ პრეტენზიები აღარ განიხილება და KIWI POST არ იღებს პასუხისმგებლობას ამანათში არსებული პროდუქციის შესაძლო დაზიანებაზე ან დანაკლისზე.

4. საკურიერო მომსახურება ონლაინ-შესყიდვებისას და პერსონალური ამანათების გაგზავნისას

4.1. კომპანია KIWI POST მომხმარებელს სთავაზობს საკურიერო სერვისს როგორც ქ. თბილისში, ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე გარკვეულ შემთხვევებში ქ. ლონდონში (ქ. ლონდონში კომპანია KIWI POST მომხმარებელს სთავაზობს საკურიერო მომსახურებას მხოლოდ M25 არეალის ფარგლებში არსებულ მისამართებზე).

4.2. ქ. თბილისში მისაღები ამანათების მიმღებამდე მიტანა ხორციელდება საქართველოში ამანათების ჩამოსვლიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე.

ონლაინ-შეკვეთების საკურიერო მომსახურების საფასური შეადგენს:

- 5 კგ-მდე ამანათები - 85 ჰენსი;
- 5-დან 10 კგ-მდე ამანათები - 1,40 ფუნტი;
- 10-დან 30 კგ-მდე ამანათები - 2,85 ფუნტი;

4.3. საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებში ონლაინ-შეკვეთილი ამანათების გაგზავნა ხდება მიმღების მისამართის გათვალისწინებით “საქართველოს ფოსტის” შესაბამის ოფისებში; რეგიონებში გაგზავნილ ამანათებს ტვირთის მიმღები თავად მიაკითხავს “საქართველოს ფოსტის” შესაბამის ოფისში. “საქართველოს ფოსტის” რეგიონულ ოფისებში ტვირთების საკურიერო მომსახურების საფასური შეადგენს:

- 5 კგ-მდე ამანათები - 85 ჰენსი;
- 5-დან 10 კგ-მდე ამანათები - 1,40 ფუნტი;
- 10-დან 30 კგ-მდე ამანათები - 2,85 ფუნტი;

იმ ამანათების საკურიერო მომსახურების ღირებულება, რომელთა წონა აღარაა 30 (ოცდაათ) კილოგრამს, წინასწარ თანხმდება კომპანია KIWI POST-ის ოფისთან.

4.4. KIWI POST-ის ლონდონის ოფისიდან საქართველოში გამოგზავნილ პერსონალურ ამანათებზე საკურიერო მომსახურების საფასურია 0.50 (ორმოცდაათი) ჰენსი ამანათის თითოეულ კილოგრამზე.

4.5. თუ ამანათი იგზავნება KIWI POST-ის თბილისის ოფისიდან ლონდონში და მისი წონა შეადგენს 50 კგ-ს ან მეტს, კომპანია KIWI POST მომხმარებელს სთავაზობს შიდა საკურიერო მომსახურებას ლონდონში, რომლის ღირებულება იქნება 0.60 (სამოცი) ჰენსი. იმ შემთხვევაში თუ ამანათის წონა 50 (ორმოცდაათ) კილოგრამზე ნაკლებია, ტვირთის მიმღები ლონდონში ვალდებულია თავად გამოცხადდეს KIWI POST-ის ლონდონის ოფისში და ჩაიბაროს ამანათი.

4.6. საკურიერო მომსახურებით სარგებლობისათვის და ტვირთის მისაღებად ამანათის მიმღები ვალდებულია შესაბამისი მოკლე-ტექსტური შეტყობინების მიღების შემდეგ, რომელშიც ასახული იქნება როგორც ტვირთის წონა, ასევე ტრანსპორტირების/საკურიერო მომსახურების საფასურის ოდენობა, გადაიხადოს როგორც ამანათის ტრანსპორტირების, ასევე საკურიერო მომსახურების საფასური. აღნიშნული საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში მიმღებისათვის/მომხმარებლისთვის საკურიერო გზით ამანათის გაგზავნა არ მოხდება.

4.7. ქ. თბილისის მასშტაბით კურიერს ამანათი მიაქვს მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე და მხოლოდ ერთხელ. რეგიონებში კურიერს ამანათი მიაქვს “საქართველოს ფოსტის” შესაბამის ოფისებში მომხმარებლის მიერ მითითებული მისამართის გათვალისწინებით.

4.8. ვებ-გვერდიდან მიმღების მისამართის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ამანათის დანიშნულების ოფისში ჩასვლამდე, სხვა შემთხვევაში ამანათის მიტანა მიმღების შეცვლილ მისამართზე არ მოხდება.

4.9. არ დაიშვება მისამართის შეცვლა და გადამისამართება ოფისში დარეკვით ან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე.

4.10. კურიერი არ აიტანს ამანათს სართულზე.

4.11. ტვირთის მიმღების მისამართზე მისვლამდე კურიერი დარეკავს მომხმარებლის მიერ დაფიქსირებულ მობილურის ნომერზე/ნომრებზე, რათა გადასცეს მიმღებს ამანათი. თუ ამანათის გადაცემა ვერ ხერხდება ტვირთის მიმღების მიზეზით, კურიერი წაიღებს ამანათს KIWI POST-ის ოფისში, საიდანაც ტვირთის მიმღები ვალდებულია

თვითონ გაიტანოს ამანათი. ასეთ შემთხვევაში გადახდილი საკურიერო მომსახურების საფასური მომხმარებელს არ დაუბრუნდება.

4.12. ამანათის მისაღებად საჭიროა ტვირთის მიმღებმა (პიროვნება, რომლის სახელი და გვარი ანერია უშუალოდ ამანათს) თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი. პირადობის დამდგენი დოკუმენტის ქსეროასლი არ მიიღება. ამასთან, ტვირთის გამოგზავნამდე მომხმარებელს შეუძლია ვებ-გვერდზე მის ანგარიშში მიუთითოს მისთვის სასურველი რამოდენიმე პირის (მაქსიმუმ ექვსი პირის) მონაცემები, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან ჩაიბარონ საქართველოში ჩამოსული ამანათი. ასეთ შემთხვევაში, თუ ამანათს იბარებს სხვა, მესამე პირი, რომელიც არ არის ამანათის უშუალო შემძენი, საჭირო იქნება ასევე იმ პიროვნების პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი ვინც უშუალოდ ჩაიბარებს ამანათს.

4.13. ამანათის მიმღებზე გადაცემის დამონება ხდება მიმღების მიერ პირადობის ან პასპორტის წარდგენით და ხელმოწერით ქალაქის ბლანკზე ან ხელმოწერის გასაკეთებელ სპეციალურ ელექტრონულ მოწყობილობაზე.

4.14. ონლაინ შესყიდვებისას, თუ ამანათის მიმღები არ არის მისი უშუალო შემძენი, ვალდებულია ტვირთის მიღებისას წარმოადგინოს ტვირთის უშუალო შემძენის პირადობის დამადასტურებელი საბუთი. სხვა შემთხვევაში, ამანათი შემძენის მიერ მითითებულ ტვირთის გამტანზე არ გაიცემა.

4.15. ონლაინ შესყიდვებისას კომპანია KIWI POST მომხმარებელს სთავაზობს ამანათის მაღაზიაში უკან დაბრუნების სერვისს, შესაბამისი ტრანსპორტირების საფასურის გადახდის შემდგომ.

5. ოფისების მუშაობის განრიგი, გადახდის და ამანათის მიღების პერიოდი

5.1. ლონდონისა და სანქსი მუშაობს ორშაბათიდან კვირის ჩათვლით (ოფიციალური დასვენების დღეების გარდა) შემდეგი განრიგით: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 13.00 საათიდან 20.00 საათამდე, ხოლო შაბათს და კვირას 11.00 საათიდან 19.00 საათამდე. რაც შეეხება თბილისის ოფისს, ის მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 საათიდან 20.00 საათამდე, შაბათს 11.00 საათიდან 18.00 საათამდე და კვირას 11.00 საათიდან 15.00 საათამდე.

5.2. ტვირთის ტრანსპორტირების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 2-8 (ორი/რვა) დღეს.

5.3. ტვირთის გადასაზიდად ავიარეისების განრიგი არ არის ფიქსირებული და კომპანია პასუხისმგებლობას არ იღებს ფორსმაჟორული სიტუაციების შემთხვევაში რეისების დაგვიანებაზე (მაგ.: რთული მეტეოროლოგიური პირობები, ავია კომპანიის მიერ გაუქმებული ან შეცვლილი განრიგი და ა.შ.), ასევე დღესასწაულებთან დაკავშირებულ გადატვირთვებზე ავია კომპანიებში.

6. განბაჟება

6.1. დეკლარირება (გზავნილის კოდის, ფასის (შესაბამის ვალუტაში), პროდუქციის გამომგზავნის დასახელების (ვებ-გვერდის), მისაღები და გამგზავნი ქვეყნის დასახელების და საქონლის კატეგორიის მითითება) და შესაბამისი შესყიდვის ინვოისის ატვირთვა KIWI POST-ის ვებ-გვერდზე სავალდებულოა. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მომხმარებელს.

6.2. ტვირთის განბაჟების პროცედურებზე პასუხისმგებელია მომხმარებელი, თუმცა კომპანია გაუწევს მომხმარებელს დახმარებას გამარტივებული საბაჟო პროცედურებით სარგებლობისას, კერძოდ დეკლარაციის სწორად შევსების შემთხვევაში, მომხმარებელი ამანათის ჩამოსვლისთანავე შეძლებს ამანათის KIWI POST-ის ოფისიდან გატანას საბაჟო დეკლარაციასთან ერთად.

6.3. ყველა სახის ელექტრო სიგარეტის ნებისმიერი ოდენობით სითხის ტრანსპორტირება ექვემდებარება განბაჟებას.

6.4. განსაბაჟებელი ამანათების დოკუმენტაციის მომზადება მომხმარებლისათვის უფასოა.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო სამსახური ან ფინანსთა სამინისტრო დააკისრებს საჯარიმო სანქციას კომპანია KIWI POST-ს, მომხმარებლის მიერ მომსახურების პირობების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო (მაგ.: პროდუქციის არასრული ან არაზუსტი დეკლარირება), კომპანია KIWI POST უფლებას იტოვებს აღნიშნული ჯარიმის გადახდა დააკისროს მომხმარებელს.

6.6. მომხმარებლის მიერ 3 (სამი) ერთგვაროვანი ნივთის ონლაინ შეძენის შემთხვევაში, შეძენილი პროდუქცია ნასყიდობის ფასის მიუხედავად ექვემდებარება განბაჟებას.

7. პროდუქცია რომლის ტრანსპორტირებაც აკრძალულია

7.1. მომხმარებლებისათვის აკრძალულია შემდეგი სახის პროდუქციის გაგზავნა:

ა) ალკოჰოლური სასმელები.

ბ) რეალური ფული, ფასიანი ქაღალდები, საბანკო ბარათები და ბანკნოტები.

გ) ძვირფასი ქვები, პლატინა, ოქრო, ვერცხლი და მათგან დამზადებული საიუვილერო ნაწარმი.

დ) საღებავი და ტოქსიკური ნივთიერებები.

ე) ფეთქებადი და სხვა საშიში ნივთები, მაგ; სანთებელა, საახალწლო მაშხალა, პულვირიზატორიანი დატუმბული ბალონი და ა.შ.

ვ) ცეცხლსასროლი იარაღი ან მათი ნაწილები, ელექტრო შოკერი, არბალეტი და ცივი იარაღები.

ზ) პორნოგრაფიული სახის პროდუქცია.

თ) ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი პროდუქცია

ი) მედიკამენტები, მცენარეები ან მათი თესლები.

კ) ნებისმიერი სახის არომატიზატორი, ე.წ. "ბიო".

ლ) სამედიცინო პრეპარატები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით მხოლოდ რეცეპტით გაიცემა.

მ) ცხოველები, ფრინველები, თევზები, მღრნელები ან მათი ფიტულები.

ნ) რძის, ხორცის, თევზის პროდუქტები, თაფლი, თამბაქოს ნაწარმი (საქართველოდან დიდ ბრიტანეთში გასაგზავნ ამანათებზე).

მომხმარებლის მხრიდან აკრძალული პროდუქციის გამოგზავნის შემთხვევაში კომპანია KIWI POST არ იღებს პასუხისმგებლობას საბაჟოს სამსახურების მხრიდან პროდუქციის კონფისკაციაზე.

7.2. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი მანაც გაგზავნის აკრძალულ პროდუქციას კომპანია KIWI POST-ის მეშვეობით, კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას ტვირთის მომხმარებლისთვის დაბრუნებაზე ან ტვირთის მიმღებისათვის გადაცემაზე. აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება მომსახურების პირობების დარღვევად, რაც გამოიწვევს მომხმარებლისათვის მომსახურების უპირობო შეწყვეტას და საჯარიმო სანქციების დაკისრებას, რაც განისაზღვრება კომპანია KIWI POST-ისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობით.

8. სხვა პირობები

8.1. წინამდებარე მომსახურების პირობები ითვლება კომპანიისა და მომხმარებელს შორის დადებულ შეთანხმებად. აღნიშნული პირობების მომხმარებლისთვის წარდგენის მომენტიდან, კომპანიის ვებ-გვერზე შესაბამისი „ვეთანხმები“ ღილაკის დაჭერით.

8.2. KIWI POST ვალდებულებას იღებს კლიენტთან მხოლოდ იმ სერვისებზე, რაც აღწერილია მომსახურების პირობების გვერდზე.

8.3. KIWI POST უფლებას ითვებს მოახდინოს მომხმარებელთან ურთიერთობის ჩანერა და დამახსოვრება ინტერნეტის, სატელეკომუნიკაციო თუ ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების ყველა სახეობის საშუალებით, მათ შორის ელ-ფოსტით გამოგზავნილი წერილების, ჩათით ან ტელეფონით საუბრები, ფეისბუქის თუ ბლოგის კომენტარები, რაც შესაძლოა კომპანიამ გამოიყენოს მისი უფლებების დაცვის მიზნით მომხმარებელთან სასამართლო ან სხვა დავის წარმოქმნის შემთხვევაში.

8.4. თთახის ნომერი, რომელზეც არცერთი ამანათი არ ფიქსირდება ჩაითვლება არა-აქტიურად და გაუქმდება მისი რეგისტრაციიდან 3 თვის შემდეგ.

- 8.5. მომხმარებლის პირადი ინფორმაცია დაცულია. კომპანია KIWI POST არ გადასცემს მესამე მხარეს მომხმარებლის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციას სასამართლო დადგენილების გარეშე.
- 8.6. კომპანია KIWI POST უფლებას იტოვებს კლიენტის წინასწარი ინფორმირების შემდეგ, მასთან შეთანხმების გარეშე, შეცვალოს მომსახურების მიწოდების პირობები ან შეუწყვიტოს მომხმარებელს მომსახურების მიწოდება.
- 8.7. მომხმარებლის სახელის და გვარის შეცვლა რეგისტრაციის შემდეგ აღარ ხდება, კომპანიის მხრიდან შესაბამისი ინსტრუქციების გარეშე. ინსტრუქციები გულისხმობს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას ოფისში, ელ-ფოსტაზე დადასტურებას და სხვა.
- 8.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან ერთად, მომხმარებლისა და ექსპედიტორის უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.9. ონლაინ-შესყიდვებისას ნებისმიერ გაგზავნილ ამანათებზე KIWI POST-ის მომხმარებლებს კომპანია UNICARD ანგარიშზე დაერიცხებათ შესაბამისი ქულები, რომელთა ოდენობაც გამოითვლება გაგზავნილი ამანათების წონის/ტრანსპორტირების ღირებულების შესაბამისად.
- 8.10. KIWI POST-ის მომხმარებლებს საშუალება აქვთ ტრანსპორტირების ღირებულება და საკურიერო მომსახურების საფასური გადაიხადონ UNICARD ანგარიშზე დაგროვებული ქულებით.